ევროპეიზაცია, როგორც მოდერნიზაციის მექანიზმი

სოფიო დავითიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

სოფიო დავითიშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ევროკავშირის გავლენების კვლევამ განსაკუთრებული პოპულარულობა მოიპოვა სამეცნიერო ლიტერატურაში. რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის ევროპული სტრუქტურებისაკენ სწრაფვა? რა შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისათვის ევროკავშირთან დაახლოება ან გაწევრიანება? რამდენად იწვევს ქვეყნის მოდერნიზებას ეს პროცესები? საზოგადოებაში ამ საკითხების ირგვლივ მუდმივად არსებობს შეკითხვები, რომლებზეც აუცილებელია არგუმენტირებული, დასაბუთებული პასუხების გაცემა. წინამდებარე ნაშრომის ამოცანას სწორედ მსგავსი შეკითხვებისათვის პასუხის გაცემა წარმოადგენს.

ნაშრომის ამოცანაა იმის ჩვენება, რომ ევროინტეგრაციის პროცესს უფრო მეტი დადებითი ეფექტების მოხდენა შეუძლია განვითარებად ქვეყანაზე, ვიდრე უარყოფითის და რომ ამ შემთხვევაში ევროპეიზაციის პროცესი მოდერნიზაციის მექანიზმად გვევლინება.

ამ ვარაუდის გადასამოწმებლად ნაშრომში ე. წ. Case Study მიდგომის მეშვეობით შესწავლილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, კერძოდ პოლონეთის და სლოვაკეთის და ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ქვეყნის - საქართველოს მაგალითები.

პოლონეთისა და სლოვაკეთის შემთხვევების კვლევისას დადგინდა, რომ ამ ქვეყნებში არსებული განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური ვითარების იუხედავად მაინც გახდა შესაძლებელი ევროპული მხარის დახმარებით სოციო-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარება და ა.შ. ნაშრომის მომდევნო ნაწილში განხილულია საქართველოს შემთხვევა და მისი ევროპული პერსპექტივები.

საკვანძო ფრაზები: მოდერნიზაცია; ევროპეიზაცია; ევროკავშირი; ევროინტეგრაცია; პოლონეთი; სლოვაკეთი; საქართველო.

Abstract

During the last decades the research of EU Influences on its external partners has become very popular trend in Political Science. Why is so important to getting closer to the European Union? What benefits will get country in case of membership? Does Europeanization cause the modernization of a country? The main purpose of this work is To answer to these questions.

The main subject of this research paper is also to show that Europeanization processes have more positive consequences than negative for the developing countries and generally Europeanization is a tool for Modernization.

To check this hypothesis, I used the Case Study Approach and researched two countries from Central and Eastern Europe: Poland and Slovakia. I also researched Georgian Case and compared it to Poland and Slovakia.

As a result of research, it concludes that in these countries with different political and economic background and developing processes the influence of the European union had abilities to promote democratization, to develop economics, etc. The next part of this research project examines Georgian case and reviews its European perspectives.

Keywords: Modernization; Europeanization; European Union; European integration; Poland; Slovakia; Georgia.

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფ. დავით აფრასიძეს. გარდა ამისა, ასევე განსაკუთრებული მადლობა მსურს გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ძალ-ღონე არ დაიშურა წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში ჩემს გასამხნევებლად.